საქართველო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 47 125
02/02/2021

125-47-4-202102021756

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთანკონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველიპუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები. დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები გაიმართოს დანართი N1-ით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18საათამდე, 2021 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერისპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - ტელ: 599273250, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

უჩა გაბრიაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ხრესილის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 599432455, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

კახაბერ ცნობილაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595907529, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

მელიტონ ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ორპირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 555981888, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

გაგა ჩუბინიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ჯვარისის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595902473, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

გიორგი ჩივაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი გურნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595770181, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

თენგიზი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი საწირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595901164, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

ხატია ბეროძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი კურსების ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 599170050, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

ზაზა ყვავაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 599973228, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

მურადი ფორჩხიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ცუცხვათის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 558454545, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;

7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თემურ ჩუბინიძე



მუნიციპალიტეტის მერი